ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N33

ქ.ზუგდიდი **28 დეკემბერი 2023 წელი**
14:00 სთ

2023 წლის 28 დეკემბერს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, ირაკლი გოგოხია, კახაბერ ჩანგელია, თამუნა ჯიქია, ოთარ ქადარია, ჯონი ჯიქია, ლაშა ბეჭვაია, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: გიგა ფარულავა, თაზო ფაცაცია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, სოსო გოგოხია, დავით ვეკუა, დარეჯან გაბედავა.

სხდომას ასევე ესწრებოდა: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი; **კობა ჯიქია-** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი; **.....**-ზუგდიდის მუნციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე; **.....**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი .....

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 9 წევრი.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი :

1. ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

   თანამომხსენებელი: ლაშა ადეიშვილი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

   მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

   თანამომხსენებელი: კობა ჯიქია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი

3. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 27 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242336123 მომართვა (რეგისტრაციის N12-25233612-25 27.12.2023წ), რომელიც შეეხება ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანას.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ლაშა ადეიშვილს კომისიის წევრებს მიაწოდოს ინფორმაცია თუ რა ცვლილებები შედის საპრივატიზებო ნუსხაში.

აზრი გამოთქვეს: ლაშა ადეიშვილმა განმარტა: „თქვენი 2023 წლის 26 დეკემბრის N25-25233609 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია დამტკიცებული პრივატიზაციის ნუსხისა და ქონების პრივატიზაციის გეგმის ფარგლებში ახორციელებს ელექტრონული აუქციონების გამოცხადებას, რის შედეგადაც ხორციელდება მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაცია. შესაბამისად, ხდება ახალი საპრივატიზაციო ქონებების მოძიება და აუცილებელია საპრივატიზაციო ნუსხასა და ქონების პრივატიზაციის გეგმაში ცვლილებების განხორციელება. მიმდინარე წლის 1 სექტემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N101 განკარგულებით დამტკიცებულ იქნა „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე" ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ". დამტკიცებული ნუსხისა და გეგმის ფარგლებში გამოცხადდა ელექტრონული აუქციონები და პრივატიზებულ იქნა ნუსხასა და გეგმაში აღნიშნული მე-12 და 21-ე პოზიციით გათვალისწინებული ქონებები:

პოზიცია 12. ქალაქი ზუგდიდი, რუსთაველის ქუჩა N95/მარცხენა სანაპიროს ქუჩაზე მდებარე 1675 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (1675 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 265.0 კვ.მ მიწის ნაკვეთი დატვირთულია სერვიტუტის უფლებით) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა N1; საკადასტრო კოდი: 43.31.49.584;

პოზიცია 21. ავტოსატრანსპორტო საშუალება. LEXUS GX470; გამოშვების წელი. 2008წ; საიდენტიფიკაციო ნომერი: JTJBT20X890174112 სახ.ნომერი - VV080VA;

დამტკიცებული ნუსხისა და გეგმის ფარგლებში მე-4, მე-5, მე-6 პოზიციით გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალებების პრივატიზება ვერ მოხერხდა (მე-4 პოზიცია BOGDAN; სახ. ნომრით HH357HN; მე-5 პოზიცია BOGDAN; სახ. ნომრით HH178HN; მე-6 პოზიცია BOGDAN; სახ. ნომრით HH175HN;), შესაბამისად ამ ეტაპზე მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია ამოღებულ იქნას საპრივატიზებო ნუსხიდან და გეგმიდან მითითებული მოძრავი ქონებები. ასევე მუნიციპალიტეტის მერიამ მიზანშეწონილად მიიჩნია საპრივატიზებო ნუსხიდან და გეგმიდან ამოღებულ იქნას ქ. ზუგდიდში გორის ქუჩა N2-ში მდებარე გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი 30.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მე-

11 პოზიცია), რადგან ქონება უშუალოდ ემიჯნება საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტს.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღების მიზნით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საპრივატიზებოდ გატანილ იქნას შემდეგი უძრავი ქონებები და შევიდეს შესაბამისი ცვლილება ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომაზე (ოქმი N32) გამოთქმულ შენიშვნათა გათვალისწინებით. (იხ.დანართი: საპრივატიზებო ნუსხისა და გეგმის N17; N18; N19;)

პოზიცია 17. ზუგდიდი, სოფ. ახალსოფელში მდებარე 2222.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 43.11.47.081) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (შენობა-ნაგებობა N1 – 149.86 კვ.მ; და N2 58.27 კვ.მ) (უპირობო აუქციონის წესით პრივატიზება).

პოზიცია 18. ქ. ზუგდიდი, ჩიქოვანის ქუჩა N40-ში მდებარე 120.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 43.31.42.598) (უპირობო აუქციონის წესით პრივატიზება).

პოზიცია 19. ქ. ზუგდიდი, კ. გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე 970.0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 43.31.73.321) (უპირობო აუქციონის წესით პრივატიზება).“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: ,,ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ნუსხის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის N42 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ განკარგულების პროექტი ჩაითვალოს მომზადებულად და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 27 დეკემბერს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423361126 მომართვა (რეგისტრაციის N12-25233613-25 27.12.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის წარმომადგენლებს კომისიის წევრებს მიაწოდონ ინფორმაცია 2024 წლის ბიუჯეტითან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესაბამის მაჩვენებელი 2023 წლის ბიუჯეტის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის ბიუჯეტი 6 577 000(ექვსიმილიონიხუთასსამოცდაჩვიდმეტიათასილარი) ლარით გაიზრდა. ამ ზრდის კვალობაზე უნდა გამოიყოს ზოგიერთი პოზიტიური მომენტი, რომელიც ჩადებული არის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში. რა არის ეს დადებითი მომენტები-ეს დადებითი ტენდენცია გახლავთ, ის რომ 2023 წელთან შედარებით გაზრდილია გარკვეულად და საგრძნობლად შემდეგი პროგრამები და ქვეპროგრამები: კერძოდ, ჯანდაცვის და სოციალური პროგრამები მისი ქვეპროგრამების ჩათვლით, ინფრასტრუქტურული პროექტების ასიგნება გაზრდილია, დასუფთავების. გარემოს დაცვის და განათლების სფეროების დაფინანსების მნიშვნელოვანი ზრდაა. როგორც მოგეხსენებათ განათლების სფერო უმთავრესად წარმოდგენილია სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებებით, არის მკვეთრი ზრდა-11 000 000(თერთმეტიმილიონილარი) ლარით. 28 %-ია მხოლოდ ერთი საბიუჯეტო ორგანიზაცია, ასე რომ მკვეთრი ზრდაა ამ მიმართულებითაც. გარდა ამისა, საბიუჯეტო ქსელში დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურების 10%-იანი ზრდა მთლიანად საბიუჯეტო წელში და ასევე სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა ქსელში დაბალხელფასიანი მუშაკებისათვის ფიქსირებული 100(ასილარი) ლარით ხელფასების მატება, რომელიც მომავალ წელს შეეხება 900-ზე მეტ საბიუჯეტო მუშაკს. ეს არის ძალიან მოკლე ინფორმაცია 2024 წლის ბიუჯეტის შესახებ.“

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „ბატონო მურთაზ, ფრაქციის სახელით გადმოგეგზავნათ ინიციატივა, თანამდებობის არ მქონე საკრებულოს წევრების 10 %-ით ხარჯების ანაზღაურების მომატებასთან დაკავშირებით, ამ მიმართულებით რა იგეგმება.“

აზრი გამოთქვეს: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილემ **განმარტა:** „აღნიშნული ინიციატივა მიღებულია მერიაში, მაგრამ ბიუჯეტი პროგრამულად უკვე შედგენილი იყო. ჩვენ ეს დავიანგარიშეთ და 19 000(ცხრამეტიათასილარი) ლარია ჯამში. ბიუჯეტში სანამ პირველი ცვლილება შევა, ეს თანხა შეიძლება გამოინახოს საკრებულოს ხარჯებიდან და მერე წარმოგიდგენთ ცვლილება შეტანილ ვარიანტს.“

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ აღნიშნა: „შეკითხვა არ მაქვს, რადგან რამდენჯერმე მოხდა 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა, წინადადებების, რეკომენდაციების და შენიშვნების წარმოდგენა. რამოდენიმეჯერ ვთქვი და კიდევ ერთხელ გავიმეორებ ბიუჯეტის შემოსავლები და აქტივები, ზუგდიდისთვის სტარტეგიულად საკმაოდ ძლიერი რეგიონისთვის მთელი თავისი შესაძლებლობით და რესურსით, არის კატასტროფა. აქ ბატონმა სანდრო სორდიამ დასვა კითხვა რამდენით გაიზარდა ბოლო 10 წლის განმავლობაში ზუგდიდის ბიუჯეტი. 2012 წელთან შედარებით თურმე ბიუჯეტი გაზრდილია 37 000 000(ოცდაჩვიდმეტიმილიონილარი) ლარიდან 57 000 000(ორმოცდაჩვიდმეტიმილიონილარი) ლარამდე. თუ ამ მონაცემებს დოლარში გადავიყვანთ აღნიშნულ ციფრს და გავითვალისწინებთ იმას, რომ პროდუქტის და საწვავის ფასების ზრდას, 11 წლის განმავლობაში ზუგდიდის ბიუჯეტი გაზრდილია მხოლოდ დაახლოებით 1 000 000(ერთიმილიონიდოლარი) დოლარით, რადგან 2012 წელს ზუგდიდის ბიუჯეტი იყო 20 000 000(ოციმილიონიდოლარი) და 2023 წელს არის 21 000 000(ოცდაერთიმილიონიდოლარი) დოლარი. რაც შეეხება დანარჩენს, არსებული ბიუჯეტი არის რეალობა, რომელსაც ვერ შევცვლით ვერავინ. თუ არ გვინდა ამ ბიუჯეტის ირგვლივ ვიმუშაოთ, მაშინ გვრჩება ერთი გზა ჩვენ უნდა დავტოვოთ აქაურობა და გარედან დავიწყოთ ბრძოლა, მაგრამ ამისთვის არამგონია დღეს იყოს შესაფერისი დრო. იმისათვის, რომ მუნიციპალიტეტის მოსახლეობას დროზე მიუვიდეს ის შესაძლებლობები, ის რესურსები რაც ამ ბიუჯეტით არის გათვალისწინებული ჩვენ უნდა ავიღოთ ჩვენს თავზე პასუხისმგებლობა რომ ამ ბიუჯეტს ვუყაროთ კენჭი, მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტის შესაძლებლობა არის ეს

და ამ ბიუჯეტის შესაძლებლობის ფარგლებში ჩვენ ვიმსჯელეთ და წავედით გარკვეულ კომპრომისებზე და დავუმატეთ სხვადასხვა ორგანიზაციებს ჩვენი შეხედულების მიხედვით თანხები. ეს იყო სულ რაც მინდოდა მეთქვა. მადლობა.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არ აქვთ სხვა წინადადებები ან შენიშვნები პირველ საკითხთან დაკავშირებით.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის“ დადგენილების პროექტი ჩაითვალოს მომზადებულად და გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია